ზრდის წერტილები და რესურსული ოპტიმიზაცია რეგიონის აგროსექტორში

ინა მაისურაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიულ-ლოჯისტიკური კატაკლიზმები ჩვენს ქვეყანას მიანიშნებს იმაზე, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად უნდ იქნას გამოყენებული არსებული აგრარულ-რეგიონული ეკონომიკური პოტენციალი. რეგიონული განვითარების სტრატეგია და მისი მჭიდრო-კორელაციური კავშირი აგრარულ პოლიტიკასთან დღეს ერთერთი განსაკუთრებული გამოწვევაა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ადგილებზე მოსახლეობის დასაქმება და თვითმმართველობის ფუნქციის გაძლიერება, ტერიტორიულ-მიკროზონული შესაძლებლობების სწორად შეფასება-გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს ქვეყნისათვის.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, ოპტიმიზაცია, რესურსების კონცენტრაცია, პროგრამული მოდელი.

შესავალი

საქართველო შევიდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთ ფაზაში, სადაც ორგანიზაციულ-ინსტიტუციური მართვა და კომპლექსურ-მულტისექტორული ჩართულობა აუცილებელ საქმიან-შემოქმედებით ნორმად იქცა. აგრარული პოლიტიკის ფორმირება რეგიონული განვითარების სტრატეგიული გეგმა-ხედვების და აქტიური სტატისტიკურ ანალიტიკურ კვლევების გარეშე წარმოუდგენელია. თუ ჩვენ წარმატებული ევროპული ქვეყნების გამოცდილებას გავიზიარებთ და შევიარაღდებით პროგრესულ-ინოვაციური ცოდნით, ეს ფაქტი კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდება. ეს არის თემა, რომელიც საჭიროებს მთავრობის გონივრულ მასტიმულირებელ პროტექციონისტულ პოლიტიკას, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების და მექანიზმების ეფექტიანად გამოყენებას, რეგიონული, მუნიციპალური და სოფელ-თემში შექმნილი მიზნობრივ პროგრამული მოქმედების გააზრება-შესრულებას და პროცესზე მუდმივ მონიტორინგ-შეფასებას. ნაშრომის სათაურში ხაზგასმული მოქმედების თანამედროვე ეტაპი პირდაპირ კორელაციურ კავშირშია სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ახალ სტრატეგიასთან, რომელიც სათაურშივე გამოკვეთილად მიუთითებს ტერიტორიულ-მიკროზონული ფაქტორის მნიშვნელობას. ყველა ჩვენი მოქმედება-ინიციატივა სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, მყისიერად საქმიან-ფუნქციურად უკავშირდება რეგიონს და მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე სტრატეგიულ-კონცეპტუალური ხედვები, ინტერესთა თანხვედრა, მოქმედების სინერგია და მულტისექტორული ჩართულობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დღევანდელ მოცემულობაში.

რეგიონული სტრატეგია და სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეპტუალურ-პროგრამული პროტექციონიზმი. მთავრობის მიერ გატარებული განვითარების მიმდინარე პოლარიზებული პოლიტიკა დაფუძნებულია მომავალში რეგიონებში პერსპექტიული დარგების მოძიებასა და განვითარებაზე. მათში რესურსების მართვა-გამოყენების სწორ კონცენტრაციაზე, რაც მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის ფორმირებისათვის. ამასთან დაკავშირებით აქტუალური ხდება ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახლი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა, რომლის განხორციელება საშუალებას მისცემს ქვეყანას, ჩამოაყალიბოს რეგიონების მდგრადი და დინამიური ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო წინაპირობები. ეს კი შეესაბამება დღევანდელ გამოწვევებს და ინკლუზიური განვითარების მიზნებსა და ამოცანებს (კოღუაშვილი, 2008:34).

კვლევის პროცესში დადგენილია, რომ რეგიონის სტრატეგიული განვითარების პრობლემების, ამოცანების და მიმართულებების გადაწყვეტა შესაძლებელი ხდება საკვანძო საკითხებში ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების მაქსიმალური კონცენტრაციის პირობებში, ეკონომიკური სუბიექტების მოგების რეფინანსირების მაქსიმალური გამოყენებისა და გამოკვეთილი პრიორიტეტული პროექტების განსახორციელებლად რეგიონში ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის პირობებში, რაც მათ სტიმულს და საქმიან-ფუნქციური აქტორის როლს განსაზღვრავს.

რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკისთვის კონკრეტული პრიორიტეტების შერჩევა, პირველ რიგში, განისაზღვრება რეგიონის განვითარების ტენდენციებით, თავისებურებებით, ორგანიზაციული, სოციალურ-ეკონომიკური, საწარმოო, ტექნიკური და ფინანსურ-ეკონომიკური საჭიროებებით. ინვესტირების გარკვეული პრიორიტეტები უნდა გამოყენებულ იქნეს როგორც ურთიერთშემავსებელი ფაქტორები. მათი თანაფარდობა უნდა განისაზღვროს როგორც რეგიონის განვითრების დონით, ასევე კონკრეტულ პერიოდში რეგიონული საინვესტიციო სტრატეგიის სპეციფიკით. აქედან გამომდინარე, რეგიონული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად ედება რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, შემდეგია:

- საბიუჯეტო კლასიფიკაციით დადგენილი ნორმების შესაბამისად მოსახლეობის ყველა ფენისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რასაც იძლევა კონსტიტუციური უფლებების განხორციელების გარანტია;
- „ზრდის წერტილების“ შექმნა, რომლებშიც უზრუნველყოფილია ფინანსური და ადმინისტრაციული მმართველობითი რესურსების მაქსიმალური კონცენტრაცია. პოზიტიური გამოცდილების შემდგომი გავრცელება სხვა ტერიტორიებზე.
- რეგიონული განვითარების პრიორიტეტული პროექტების სახელმწიფო მხარდაჭერა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამოქმედო ინიციატივების წახალისება. მიზნობრივი პროგრამები - „ქვემოდან ზემოთ”.

ამჟამად შიდა ქართლის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებობს ეკონომიკის დივერსიფიკაციის ჩატარების ყველა საფუძველი, რადგან სისტემის შემქმნელი დარგები უშუალო გავლენას ახდენენ რეგიონის მთელი სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირებაზე. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ შიდა ქართლის რეგიონი ამჟამად დინამიკურად განვითარებად რეგიონს წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია განვითარებული სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოების სექტორები, რომელთა წილად მოდის რეგიონის მთლიანი პროდუქციის 42.6%. ამის შედეგად აუცილებელი ხდება შიდა ქართლის რეგიონშემქმნელი დარგების კომპლექსის საქმიანობის გაფართოება, კერძოდ, ესა რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის დარგები, რაც თავის მხრივ, საშუალებას მისცემს რეგიონს მეურნე სუბიექტების საინვესტიციო და სხვა რესურსების არა მხოლოდ გარკვეული ტიპის პროდუქციის წარმოების გაზრდის კუთხით, არამედ კონკურენტუნარიანობის სისტემის შექმნა-დანერგვის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც (ხარაიშვილი, 2004:72).

იმის გარდა, რომ დღეს მოქმედი სოფლის მეურნეობის და სოფლის სტრატეგია 2021-2027 გამოკვეთილად აღარ არის მხოლოდ დარგობრივი, მთლიანი რეგიონული პროდუქციის წარმოების ცვლილებასა და რეგიონში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე ზეგავლენის ახდენს და აქტიურად მოქმედებს მთელი რიგი ეგზოგენური ნიშან-თვისებები.

მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) მოცულობის ზრდა, რომლის რეზერვები რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების სიბრტყეში მოიაზრება, თავის მხრივ, წარმოადგენს რეგიონის წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გასაღებს და ქმნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობებს როგორც ცალკეულ რეგიონებში, ისევე მთლიანად ქვეყანაში.

გასული ათწლეულების მანძილზე როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს რეგიონულ სოფლის მეურნეობის სექტორში, ყველაზე ნათლად გამოიკვეთა მათი შემდგომი განვითრების გარე და შიდა პრობლემები, რომელთა კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- ქრონიკული ხასიათის პრობლემები;
- 90-იანი წლების აგრარული რეფორმებით გამოწვეული პრობლემები;
- საქართველოს ცალკეული რეგიონებისთვის დამახასიათებელი პრობლემები;
- აგრარულ კომპლექსში სიახლეების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში წარმოქმნილი პრობლემები.

თავის მხრივ,მოცემული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ქმნიან რისკების სისტემას, რომელთაგან მთავარს მიეკუთვნება: მაკროეკონომიკური, ბუნებრივ-კლიმატური, სოციალური, საკანონმდებლო, საერთაშორისო სავაჭრო-პოლიტიკური და ომის შედეგად წარმოქმნილი ლოჯისტიკური რისკები.

საქართველოს რეგიონების სოფლის მეურნეობის სექტორი დაცული არ არის გარე კონკურენციისგან. აღნიშნული პრობლემების გამო იგი თავისი შესაძლებლობებით მკვეთრად ჩამორჩება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს. გლობალიზაციის პირობებში რეგიონული სოფლის მეურნეობის სფეროს პრიორიტეტულ მიმართულებად არჩევა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ვარაუდობს მისი განვითრების ძირითადი მიზნების დადგენას. რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების სტრატეგიის ჩანაფიქრში დევს რეგიონის ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტული წერტილების გამოვლენა და (ვერტიკალურად ორიენტირებული სტრუქტურების და აგრარული ფორმირებების სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ფორმის განვითარება) მათი შემდგომი განვითარების განსაზღვრა (ცოფურაშვილი, 2022:54).

რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების სტრატეგიის ძირითადი კონცეპტუალური დებულებები უნდა მოიცავდეს ზომებს სტაბილიზაციის პირობების შესაქმნელად ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სამრეწველო-ტექნიკური პირობების საფუძველზე, რომელიც უნდა ემსახურებოდეს აგრარული სფეროს ეფექტიან ფუნქციონირებას, რეგიონის სოფლის ტერიტორიებზე ინსტიტუციური გარდაქმნების განხორციელებას, ინოვაციური საქმიანობის განვითარებას, აგრარული რეფორმის მიმდინარეობის პროცესში სოციალური საკითხების გადაჭრას და რეგიონის ეკოუსაფრთხოების უზრუნველყოფას. სტრატეგია ვარაუდობს რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების გზების შემუშავებას, რომლებიც შემდგომში დაზუსტებულ იქნება მიზნობრივ პროგრამებში აგრარული სფეროს ცალკეული მიმართულებების და დარგების მიხედვით.

რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის მიზნობრივი რესურსების ეფექტიანად განაწილებისა და რაციონალური გამოყენების მიზნით, ქვეყნის რეგიონების დიფერენცირების და აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის განვითარების ინტეგრალური მაჩვენებლების დონის გათვალისწინებით, შეიძლება შემოთავაზებულ იქნას რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროს დარგების რეალური განვითარების ინდიკატორი, რომლის პრინციპულ მოდელს შემდეგი ფორმა აქვს:

სადაც: ლი - არის რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორების რეალური განვითარების ინდექსი; რპი - რეგიონში სოფლის მეურნეობის სფეროს მთლიანი პროდუქციის ღირებულება ი, მილიონი ლარი; რაიი – რეგიონის აგრარულ სფეროს განვითარებაში ინვესტიციების მოცულობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მილიონი ლარი; ჰი – არის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა ი, ათასი ადამიანი. ეს მაჩვენებელი ავსებს სოფლის მეურნეობის სფეროს სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის განვითარების ინდიკატორს (ღ ა.ს.ი.) და უფრო სრულად ასახავს კონკრეტული რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ზოგად დონეს, იგი ასევე განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის სექტორების ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხასიათს და რეგიონში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში მის როლს. ყოველივე ზემოდ აღნიშნული განსაკუთრებით თვალშისაცემია რეგიონული ეკონომიკის განვითარების შიდა სამობილიზაციო რეზერვების გამოყენების დროს.

სოფლის მეურნეობის სექტორის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ინტეგრალური გაანგარიშების მეთოდოლოგიის

განსაზღვრა შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონებში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ეფექტიანად მართვის მიზნით, კერძოდ, რეგიონებში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის საბიუჯეტო სუბსიდიების განაწილების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით, რაც ქმნის წინაპირობებს აგრარულ სფეროში ჩადებული სახსრების მაქსიმალური უკუგებისათვის და რეგიონში მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. მაღალი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მქონე რეგიონების განვითარება ქმნის წინაპირობებს მათში ჩადებული საშუალებების მაქსიმალური დაბრუნებისთვის და ამ სახსრების შემდგომი ინვესტირებისათვის ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, რაც ხელს უწყობს მათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების შექმნას, შესაბამისად აგრარული სფეროს დინამიურ და შეუქცევად განვითარებას (ჭითანავა, 2015:2).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელების სისტემა უნდა მოიცავდეს სამ დონეს:

- სტრატეგიულს - კომპლექსური ნორმატიული სისტემის შექმნა,ინფორმაციულ-ანალიტიკური და ორგანიზაციულ-მულტისექტორული მხარდაჭერა, სტრატეგიული დონისძიებების გეგმის შემუშავება საშუალოვადიან პერსპექტივაში და წლიური სამოქმედო გეგმები;
- ტაქტიკურს - განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ოპერატიულს - მაჩვენებლების მიზნობრივი მნიშვნელობებიდან გადახრებზე ოპერატიული რეაგირების სისტემის შექმნა და გამოყენება.

ამრიგად, შიდა ქართლის რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელდება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მოცემული ტერიტორიის ეკონომიკური აქტიურობის მობილიზაცია, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება და განვითარება. სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური მართვა-გარდაქმნების განხორციელების გზით, რომლებიც საშუალებას იძლევიან ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში გადაიჭრას აგრარული სფეროს უმნიშვნელოვანესი პრობლემები რაც უკავშირდება კომპლექსურ-სისტემურ რეფორმირებას და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა-ინპლემენტაციას, ასევე რიგი ორგანიზაციულ-უფლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და რეგიონების მდგრადი განვითარების სხვა პრობლემებს (კოღუაშვილი, 2019:148) .

შიდა ქართლის რეგიონის დარგობრივი სტრუქტურა მოიცავს: მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ვაჭრობას, ენერგეტიკას, გზებისა და ინფრასტრუქტურის, აგრეთვე მშენებლობას, ტურიზმს, კავშირგაბმულობასა, ტრანსპროტს. რეგიონული პროდუქტის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მრეწველობაზე მოდის (22%), მომსახურება ყველა ერთად - მრპ 18%-ს შეადგენს; სახელმწიფო რეგიონულ მმართველობას - 17% და ყველა დანარჩენს დარგს 2-დან 5-მდე %. სოფლის მეურნეობა 15%. რეგიონის სტრატეგიული განვითარების კონცეპტუალურ პროგრამაში წარმოდგენილი კვლევა-ანალიზი მნიშვნელოვანია აგრარული შესაძლებლობების და როლის განსაძღვრის თვალსაზრისით, რადგან დარგობრივ-ტერიტორიული სინერგიული კავშირი პროცესის მართვა-განვითარების ძირითადი ფაქტორია. ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და მსოფლოს ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ქვეყანაში მომწიფდა ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურების რეგიონული სისტემის ჩამოყალიბების და რენტაბელური კოოპერატიული წარმოების შექმნის ობიექტური აუცილებლობა, რაც ორიენტირებული იქნება რეგიონული და რეგიონთაშორისი სასურსათო ბაზრების დაპყრობაზე და მსოფლიო სასურსათო ბაზრებზე გასვლაზე. რეგიონის აგრარული პოტენციალის ვიწროსპეციალიზებულ მიმართულებებში ჩაღრმავება და განვითარება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის უმთავრესი ამოცანაა და აქ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ტერიტორიულ-მიკროზონული კვლევები და სასოფლო-სამეურნეო კულტურის მართებული დარაიონება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოემსახურება რეგიონის განვითრებას, ეკონომიკის ინკლუზიურობას, დასაქმებას, სოციალურად დაცულობას, მაცხოვრებელთა კეთილდღეობას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

დასკვნა

წარმოდგენილი ხედვა და შესაბამისი კვლევები ცალსახად გვიჩვენებს უდიდეს შესაძლებლობებს რეგიონების აგრარული პოტენციალის უკეთ გამოყენება-განვითარების თვალსაზრისით. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარაიონების და ზოგადად დარგის ყველა მიმართულების სპეციალობის განვითარებისთვის ცალსახად დასტურდება რეგიონულ-ტერიტორიული მმართველობითი პრინციპების გააქტიურების აუცილებლობა. თვითმმართველი სტრუქტურების ეკონომიკური აქტორობა დამატებით ძალას აძლევს პროცესს, როგორც ბიზნესის ხელშეწყობის, ასევე სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ინკლუზიურობის და სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სამოქმედო პრინციპი „ქვემოდან ზემოთ" აღარაა ხვალინდელი პერსპექტივის საქმე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ჯერ კიდევ გუშინ უნდა დაწყებულიყო და უდიდესი იმედგაცრუებაა ამაზე ყურადღების არ გამახვილება. თუ სიღრმეებში ჩავალთ აღნიშნულ თემას აქვს გარკვეული პოლიტიკური კონტექსტი, იმ ფონზე რომ მიუღწეველი და მოშლილია გამართული საქმიან-მმართველობითი ინტეგრაცია-კომუნიკაცია და სახეზეა პროცესუალური სტაგნაცია მოქმედების დაწყებას და აქტიურ პოლიტიკას ამ მიმართულებით ალტერნატივა არ აქვს. დროა ყველამ გააცნობიეროს რეალობა და დაიწყოს სისტემურ - სამართლებრივი რეფორმირება. ნაშრომში ჩამოყალიბებული თეზა მართვის ოპტიმიზაციაზე და სტრატეგიული განვითარების სამივე ფაზაზე პირდაპირ მიუთითებს, რამდენად იზრდება პროგრამული განვითარების თვალსაზრისით რეგიონული სტრატეგიის როლი სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაში.

ნაშრომში აღნიშნულ რეგიონულ შესაძლებლობებს და მის ეფექტიანად გამოყენებას უპირობოდ დამატებით ძალას და სტიმულს მისცემს ტერიტორიული მოწყობის საკითხებში განსახორციელებელი რეფორმა. უკანასკნელ სამ ათეულ წელში ქვეყანაში ამ კუთხით არაფერი პოზიტიური და იმედისმომცემი არ ხდება, რაც ართულებს ეფექტიანი მმართველობითი სისტემის დაკანონებას.

რეგიონული ეკონომიკის პრინციპების დანერგვას და ადგილებზე რესურსული შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას, ამავდროულად ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის რეგიონალისტური მართვის ფორმა ყველაზე რეალურია, მით უმეტეს, შესაძლებელია მისი თანაარსებობა მმართველობითი მოწყობის უნიტარული ელემენტების პირობებში, რაც დღევანდელ მოცემულობაში კარგი არჩევანია. ამის მშვენიერი მაგალითებია წამყვანი ევროპული ქვეყნები ესპანეთი და იტალია.

ამგვარად,რეგიონის განვითარების სტრატეგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სწრაფი და დინამიური განვითარების საქმეში, შესაბამისად ამ პროცესში შეუცვლელია აგრარული მიმართულებების როლი და სწორედ მოქმედების დარგობრივ-ტერიტორიულ სინერგიას შეუძლია მოქვცეს მაქსიმალური ეფექტი ეკონომიკის ინკლუზიური განვითარების და მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობის თვალსაზრისით, რაც მრავალგზის დასტურდება ნაშრომში მოყვანილი ფაქტებით და არგუმენტებით შიდა ქართლის რეგიონის მაგალითზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოღუაშვილი, პ. (2015). აგრარული ეკონომიკა / სახელმძღვანელო, თბ., „ინტელექტი", გვ. 34.
2. კოღუაშვილი, პ. ცოფურაშვილი, გ. (2019), სოფლის განვითარების კონცეფციები ევროკავშირის ქვეყნებში. სტუ-ს III საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის გამოწვევები".
3. ცოფურაშვილი, გ. (2022, მიზნობრივი მოდელირებული პროგრამები და კოგნიტური რუკების შედგენის მნიშვნელობა რეგიონულ-დარგობრივ ჭრილში. სტუ VI საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის გამოწვევები", გვ. 54.
4. ჭითანავა, ნ. (2015). საქართველოს სოფლის მეურნეობა. ,ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, ივერიონი, გვ. 2.
5. ხარაიშვილი ე. ,(2004). რეგიონული ეკონომიკა/ სახელმძღვანელო. თსუ, თბილისი. გვ. 72.

GROWTH POINTS AND RESOURCE OPTIMIZATION IN THE AGRARIAN SECTOR OF THE REGION

Ina Maisuradze
The Doctoral Student of Georgian Technical University
inachkainachka@yahoo.com

Summary

Recently, with the pandemic in the world, the agrarian-regional economic potential is the agrarian-regional economic potential. Regional development strategy and its close correlation with agrarian policy are one of the challenges of the socioeconomic development of Georgia today. Employment of the local population and strengthening of the function of self-government, acquisition, and use of territorial-microtonal opportunities acquires an extremely important function for the country.

keywords: agriculture, optimization, concentration of resources, software model.